ახალი

ჯობალია

„ბედნიერია ის, ვისაკენ
ცამეშობლოსათვის უძგერს გული„

2016 წელი 28 აგვისტო № 8 № 8113

საეკლესიო გადმოცემის თანახმად წილკნის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის შექმნა ლუკა მახარებელს მიეწერება. იგი საქართველოში ჩამოაბრძანეს მეფე მირიანის ძის ბაქარის დროს ბიზანტიიდან. ამბობენ ეს ხატი დაწერილია მაცხოვრის აკვნის ფიცარზე. ხატი 1962 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის განძთსაცავში ინახება.



ცოფილ მეცენიერ ოვთისმშობლის მიძინების ტაძარი (XII-XIII საუკუნე)



ომარ კელაპტრიშვილი — მარადიული ჰანგების დიდოსტატი გვ4.

არხების რეაბილიტაცია გვ4.

გიორგი სააკაძის ქვალდაქვალ გვ8.

ლაშა ზუბიაშვილის ფოტო

გზასავლელ ომერთო, რათა მას ყოველთვის ახსოვდეს შენ

წმიდა ისააკ ასური

ყოვლადწმინდა მარიამს ზეთისხილის მთაზე ლოცვისას მთავარანგელოსი გაბრიელი გამოეცხადა და ახარა, რომ სამ დღეში მისი ზეცაში აღსვლის დრო ახლოვდებოდა. ხარების დასამოწმებლად მას სამოთხეში დანერგული ფინიკის ხის ტოტი გადასცა და უთხრა, რომ ეს რტო, რომელიც ღვთაებრივი მადლით ბრწყინავდა, მის საფლავთან უნდა მიეტანათ.

ყოვლადწმინდა მარიამი მიძინებისთვის ემზადებოდა და ამის შესახებ უპირველეს ყოვლისა იოანე ღვთისმეტყველს ამცნო. როდესაც იგი თავის სურვილებს იოანესა და იაკობს გადასცემდა, მოულოდნელად ქარიშხალის მომასწავებელი ძლიერი ხმაური გაისმა და ყველამ სახლზე შემორტყმული ნათელი ღრუბლები დაინახა. უფალმა ყოვლადწმინდა დედის სურვილი აღასრულა: ღვთიური ძალის მიერ ზეაღტაცებულმა წმინდა მოციქულებმა ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეებიდან ამ ღრუბლების საშუალებით მიაღწიეს სახლთან, სადაც იგი იმყოფებოდა. უფლის მხილველებსა და მოწაფეებს ებოძათ მადლი, რომ ღვთისმშობლის მიძინებასა და დაკრძალვას დასწრებოდნენ. სახლის კართან შეკრებილი მოციქულები ხარობდნენ და ვერაფრით გაეგოთ, რატომ მოხდა ეს სასწაული.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხილვისას, რომელიც ნათელი მხიარულებით იყო სავსე განსწავლიდა და ანუგეშებდა. როგორ გაეძლოთ ასეთი მარტოობისა და ობლობისათვის, ამქვეყნად როგორღა დარჩენილიყვნენ დედისა და წინამძღოლის გარეშე?!

მიმადლებულმა მარიამმა სთხოვა, რომ სიხარული ცრემლით არ დაემძიმებინათ, არამედ მასთან ერთად გაეხარათ: "მივდივარ ჩემს ძესთან და უფალთან, ჩემს სხეულს გეთსიმანიაში გადაიტანთ, იქ დაკრძალავთ და თქვენზედ დაკისრებულ ქადაგებას განაგრძობთ, ხოლო, თუკი უფალი ინებებს, მიძინების შემდეგ ისევ მიხილავთ". ამ დროს აქ იყვნენ პავლე მოციქული და მისი მოწაფეები: დიონისე არეოპაგელი, იეროთეოსი, ტიმოთე და სხვანი – სამოცდაათთაგანნი. უფალმა შეკრიბა ისინი და აღირსა ენახათ ღვთისმშობელი, მისგან კურთხევა მიეღოთ და დაკრძალვას დასწრებოდნენ.

ყოვლადწმინდა ქალწული ყველას თავისთან უხმობდა, სახელებს ეძახდა, ყველას ეალერსებოდა რწმენისა და იმ შრომისათვის ქრისტეს ქადაგებისას რომ გასწიეს. ანუგეშებდა და აიმედებდა, რომ ობლად არ მიატოვებდა ქვეყანას და შეისმენდა ყველას ლოცვას – ვინც კი მას მიმართავდა.

ანგელოსის გამოცხადებიდან მესამე დღე დადგა. ახლოვდებოდა დღის სამი საათი, დრო, როდესაც მიძინება იყო ნაწინასწარმეტყველები. სახლში სანთლები ენთო, ღვთისმშობლის სარეცელს გარშემორტყმული მოციქულები უფალს ადიდებდნენ, იგი მხურვალედ ლოცულობდა. მოულოდნელად სახლის ჭერი განიღო, ღვთაებრივი დიდების ნათელმა იქ მყოფნი განაბრწყინა, ყველა შეძრწუნდა, ზეციური ნათლის სხივებმა ყოველი მიწიერი დააბნელა.

ციურ ძალთა დასებით გარშემორტყმული მეუფე დიდებისა – თვით ქრისტე მოევლინა ყოვლადწმინდა დედას. თავისი ძისა და ღმერთის სხივცისკროვნებით გახარებულმა მან წარმოსთქვა სიტყვები ღვთივსულიერი საგალობელისა: "ადიდებს სული ჩემი უფალსა და განიხარა სულმან ჩემმან ღვთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა". – სარეცელიდან წამოიწია, თაყვანი სცა უფალს და ესმა ღვთაებრივი მოწოდება: "მოვედ, მოკეთეო ჩემო, მოვედ ჩემგან შეყვარებულო და დაიმკვიდრე სავანე მარადიული ცხოვრებისა". ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გაიმეორა თავისი ლოცვა: "მიიღე სული ჩემი მშვიდობით და მიცევ მე არესაგან ბნელისა". უფალმა დაამშვიდა იგი: ბნელი ძალა გველისა დათრგუნულია და თვით მოუწოდებს მას, რათა მიწიერიდან ზეციურ ცხოვრებაში თამამად გადავიდეს. მარადის ქალწულმა სიხარულით შესძახა: "მზა არს გული ჩემი, ღმერთო, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა". ის კვლავ სარეცელზე მიწვა და სული თვისი ძის ხელს გადასცა. ტკივილების გარეშე შვა იგი და მანაც სხეულიდან მისი სული ყოველგვარი ტკივილის გარეშე განუტევა – წმინდა სხეული განხრწნისაგან დაიცვა. მაშინ გაისმა ანგელოსთა გალობა: "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის!" და ღვთისმშობლის სული უფლის ხელით, ზეიმითა და ზეციური ძალების თანხლებით ავიდა ცათა სასუფეველში.

მოციქულები, რომლებიც ღირს იქმნენ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ზეცად აღსვლა ეხილათ, თრთოლვით იდგნენ და ცას შესცქეროდნენ, როგორც ოდესღაც უმზერდნენ ამაღლებულ უფალს. ყოველივე მიწიერი დავიწყებოდათ – საკუთარი თავიც კი. როდესაც გონს მოეგნენ, შეხედეს ყოვლადწმინდა სხეულს და დაინახეს, რომ მისი სახე ზეციური ნათლით ბრწყინავდა, მისგან საოცარი კეთილსურნელება გამოდიოდა.

მოციქულთა დასმა სიყვარულით უგალობა მას: "ზეციურსა სავანესა შინა ძისა შენისასა შეწყნარებული ყოველ ჟამ ხარ ღვთისმშობელო, შეწევნად ერისა შენისა".

და ცის სიმაღლიდან მოისმა ღვთისმშობლის ხმა, რომელიც კადნიერად მიმართავდა თავის ძესა და უფალს: "შენნი ჩემდა მოცემულნი საუკუნოდ დაიცევ".

ყველა იქ მყოფი ღვთისმოშიშებით თაყვანს სცემდა ყოვლადწმინდა სხეულს. მის სარეცელზე შეხებით ყველა ჭირვეული კურნებას იღებდა და მთავარანგელოსის გალობით განადიდებდნენ მას; "გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა".

წმინდა მოციქულები მისი დაკრძალვისთვის ემზადებოდნენ, თუმცა ამქვეყნიურ განშორებას გლოვობდნენ, მაგრამ ნუგეშს სცემდათ ის აზრი, რომ ზეცაში ღვთის წინაშე მეოხი და მლოცველი მოიპოვეს.

პეტრეს, პავლეს, იაკობსა და სხვა მოციქულებს საკუთარი მხრებით მიჰქონდათ მისი სხეული.

იოანე ღვთისმეტყველი – სამოთხის სხივმფენი რტოთი – წინ უძღოდა მათ.

დანარჩენი მორწმუნენი და ხალხის სიმრავლე მის სარეცელს საცეცხლურებით და ანთებული სანთლებით მიაცილებდნენ – სიონიდან გეთსიმანიამდე გალობით მიდიოდნენ; მსვლელობის პროცესში – თვით დაკრძალებულ უფალს. ანგელოსთა გალობიდან ანგელოსთა გალობა ისმოდა.

ბევრმა ურწმუნო იუდეველმა მოისმინა არაჩვეულებრივი ხმები, ნახა საზეიმო მსვლელობა და ეს ამბავი მღვდელთმთავრებსა და მოხუცებულებს აცნობა. ისინი ბრაზითა და შურით აღივსნენ, როდესაც ნახეს, როგორი პატივით მიაცილებდნენ მათ მიერ ჯვარცმული იესოს დედას. იუდეველთა წინამძღოლებმა ხალხის გასაფანტად მეომართა რაზმი გაგზავნეს. უბრძანეს, მოციქულები დაეხოცათ, ღვთისმშობლის სხეული კი დაეწვათ. მაგრამ ღვთაებრივმა ძალამ არ დაუშვა ეს ბოროტმოქმედება. სხივცისკროვანი ღრუბლის გვირგვინი ძირს დაეშვა და პროცესიას გალავანივით გარს შემოერტყა. მდევარს გალობისა და ნაბიჯების ხმა ესმოდა, მაგრამ სიბრმავით მოცული ვერაფერს ხედავდა. სიმჭიდროვისგან ბევრმა მათგანმა ქალაქის გალავანთან თავი გაიტეხა, სხვებმა გზა დაკარგეს და გამყოლებს ეძებდნენ. განსაკუთრებული კადნიერებით ერთი იუდეველი მღვდელი, ათონია იქცეოდა. მან საშინელი ღვთისსაგმობი სიტყვები იკადრა ღვთისმშობლის სარეცელთან და მისი ძე, უფალი იესო ქრისტე აუგად მოიხსენია. ძველი შურითა და მტრობით გულადუღებული სარეცელს მივარდა, რათა ყოვლადწმინდა ცხედარი ძირს გადმოეგდო, მაგრამ როგორც კი ოდნავ შეეხო, ღვთის რისხვის მახვილით უფლის ანგელოსმა ორივე ხელი წარჰკვეთა. მოკვეთილი ხელები სარეცელზე დაცვივდა, თვითონ კი საშინელი გოდებით ძირს დავარდა. საზარელმა სასჯელმა გონს მოიყვანა იგი. დანაშაული იგრძნო და მოციქულებს მიმართა: "შეიწყალეთ მე, მონანო ქრისტესნო!" პეტრე მოციქულმა მსვლელობა შეაჩერა და ათონიას უთხრა: "შენი განკურნება ჩვენ არ ძალგვიძს, ყველაფერი მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც თქვენს ჯვარს აცვით: უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მაგრამ არც ის განკურნავს, სანამ მთელი გულით არ ირწმუნებ და ბაგითაც არ აღიარებ, რომ იესო ჭეშმარიტი მესია და ძე ღვთისაა". მაშინ ათონიამ ხმამაღლა წარმოსთქვა: "მრწამს, რომ ქრისტეა აღთქმული მესია და ქვეყნის მხსნელი".

მოციქულები და მორწმუნეები დაღუპული სულის ხსნამ მეტად გაახარა, ხოლო პეტრე მოციქულმა ათონიას უბრძანა, რწმენით მიემართა ღვთისმშობლისათვის და მკლავები სარეცელზე დაყრილი მოჭრილი ხელებისთვის მიედო. ხელები მაშინვე გამთელდა და ათონია გამოჯანსაღდა. იდაყვების გასწვრივ მხოლოდ ძაფივით წვრილი წითელი ზოლები შერჩა. ათონია სარეცელის წინაშე დაემხო და თაყვანი სცა უფალ იესოს და მის ყოვლადწმინდა დედას, აქო და ადიდა იგი და მოციქულებს თან გაჰყვა. ბევრმა იუდეველმა, როდესაც ამ სასწაულის შესახებ შეიტყო, შეინანა და ღვთისმშობლის სარეცელს მიემთხვია, ისინი განიკურნენ და მხედველობაც დაუბრუნდათ. ადამიანთა მოდგმის გულმოწყალე დედამ, როგორც შობით მინაჭა სიხარული მთელ ქვეყანას, არ ისურვა, რომ თავისი მიძინებით ვინმე დაემწუხრებინა, იგი ყველას შეიწყნარებდა და მტერსაც კი სასოებას აძლევდა.

როცა პროცესიამ გეთსიმანიას მიაღწია, ცრემლითა და მოთქმით ყველა უკანასკნელად მიემთხვია ყოვლადწმინდა ცხედარს და მხოლოდ საღამოს შეძლეს წმინდა მოციქულებმა მისი საფლავში დადება. გამოქვაბულის შესასვლელი ქვით დაფარეს. დაკრძალვის შემდეგ ამ ადგილს კარგა ხანს არ განშორებიან. სამი დღის განმავლობაში აქ ლოცვასა და საგალობელს აღუვლენდნენ ღვთისმშობელს. ამ დროს ანგელოსები ზეციური გალობით განადიდებდნენ უფალს და ყოვლადწმინდა ქალწულს.

მოციქულ თომას წილად ხვდა, რომ ღვთისმშობლის აღდგომის გაცხადების მონაწილე ყოფილიყო.

ისევე, როგორც ოდესღაც თავისი ეჭვით ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტება დაამოწმა. ღვთის ნებით, იგი ღვთისმშობლის დაკრძალვიდან მესამე დღეს მოვიდა გეთსიმანიაში.

თომა მიეახლა აკლდამას და მოთქმით გამოხატა გულისტკივილი, რომ ღირსი არ გახდა, უკანასკნელად ეხილა დედა ღვთისა და მისგან კურთხევა მიეღო.

აკლდამაში პატიოსანი გვამი მისი აღარსად იყო. ისინი განცვიფრდნენ და გაოგნდნენ. ღვთისმოსაობით ეამბორებოდნენ საფლავში დარჩენილ მანტიას და ევედრებოდნენ უფალს ამ დიდებული სასწაულის საიდუმლო გამოეცხადებინა მათთვის. იმავე საღამოს თვით ზეციურმა დედოფალმა დაამშვიდა ისინი. უძველესი გადმოცემის მიხედვით, ქრისტეს აღდგომის შემდეგ, ქრისტიანთა ტრაპეზზე, უპირველესი ადგილი თავისუფალი რჩებოდა, ამ ადგილას ყოველთვის იყო პურის ნაჭერი, როგორც "წილი უფლისა" – ქრისტეს პატივსაცემად და მოსახსენებელად. ტრაპეზის შემდეგ ყველა სათითაოდ იღებდა ამ პურს, ყოვლადწმინდა სამების სახელს მოიხმობდა და ლოცვას ამგვარად ამთავრებდა: "უფალო, იესო ქრისტე, შეგვეწიენ ჩვენ". ამის შემდეგ "ქრისტეს წილს" დაანწილებდნენ და იხმევდნენ მას, როგორც უფლისმიერ კურთხევას.

* დასასრული გვ9.

შევქმნათ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალსართულიანი ბინების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრის მიზანი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შექმნაა, რომლის ჩამოყალიბების, უფლებების, საქმიანობის შესახებ გამგებელმა მაცხოვრებლებს ინფორმაცია მიაწოდა და დახმარება შესთავაზა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 17 ივნისის №14 დადგენილებით ამხანაგობებს უფლება ეძლევათ მოაგვარონ ბინაში არსებული პრობლემები, რაშიც კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა 90%-იანი თანადაფინანსებით ეხმარება.

შეხვედრაზე დასმულ კითხვებს, მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა ზურაბ კოპაძემ უპასუხა.

გაზიფიცირება კასპის მუნიციპალიტეტში

კასპის მუნიციპალიტეტის 18 სოფლის გაზიფიცირება იგეგმება. მუნიციპალიტეტში დამატებით 10 სოფლის გაზიფიცირების პროექტირების სამუშაოები განხორციელდება - ამის შესახებ ინფორმაციას კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა ავრცელებს.

კასპის მუნიციპალიტეტს კიდევ 10 გაზიფიცირებული სოფელი შეემატება. ეს არის განახლებული ნუსხა იმ სოფლებისა, რომელთა გაზიფიცირების პროექტირების საკითხმა მიმდინარე წლის გეგმაში გადმოინაცვლა.

ამ სოფლებში პირველი ეტაპისთვის მოხდება პროექტირების სამუშაოების განხორციელება და შემდეგ განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები.

ჯამში დაგეგმილია კასპის მუნიციპალიტეტის 18 სოფლის გაზიფიცირება, - აცხადებენ კასპის მუნიციპალიტეტში.

მთავრობის ახალი განკარგულების შესაბამისად 2016 წელს დამატებით 10 სოფლის: მეტეხი, ზემო ჩოჩეთი, ქვ. გომი, ნიაბი, ახალქალაქი, დოესი, თელიანი, ზემო ხანდაკი, იგოეთისა და მრგვალი ჭალის დაპროექტება მოხდება.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

სოფელ ხოვლეში სკოლის ახალი კორპუსი შენდება

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში საჯარო სკოლის მეორე კორპუსის მშენებლობა დაიწყო.

მშენებლობის დასრულების შემდეგ სკოლას 6 საკლასო ოთახი და სპორტული მოედანი დაემატება.

პირველი კორპუსი 6 საკლასო ოთახით, 2013 წლის პირველ სექტემბერს გაიხსნა.

მომავალ სასწავლო წელს ახალი კორპუსიც დაიწყებს ფუნქციონირებას, რომელიც მოსწავლეებსა და პედაგოგიურ კოლექტივს სრულად გაუუმჯობესებს სასწავლო და სამუშაო პირობებს.

საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მომავალი თაობის განათლებას და აშენებს კეთილმოწყობილ, თანამედროვე სკოლებს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

2 500 000 ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოებს შპს "ბლოკჯორჯია" ახორციელებს, რომელიც სამუშაოებს 2017 წლის ივლისში დაასრულებს.



მიმდინარეობს რეაბილიტაცია - დაბეტონების სამუშაოები

ახალქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, სოფელ ახალსოფელში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - დაბეტონება მიმდინარეობს.

სამუშაოების ღირებულება 4 953 ლარია და მას შპს "კასპის კეთილმოწყობა" ახორციელებს.

,,ახალი გზნიერლი,, იძიებს ყველანაირი ყურადღებით თოფლო-მეცხვარეობის შესაჯამებელოვლ. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მეცხვარეში!

ჩვენ გვახსოვს 8 აგვისტო

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილებმა დაიკავეს საქართველოს დასახლებული პუნქტები. ჩვენი ძირძველი, შიდა ქართლის, კერძოდ კი, გორის საავიაციო დაბომბვისას ოკუპანტებმა გამოიყენეს საერთაშორისო კონვენციით აკრძალული კასეტური ბომბები. 12 აგვისტოს დაიბომბა ქალაქი კასპიც...

– რვა წელი გავიდა მას შემდეგ, ჩვენი ვალია პატივი ვცეთ, გვახსოვდეს და დავაფასოთ ის ადამიანები, ვინც სამშობლოს დასაცავად იბრძოდა, – განაცხადა ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

ქალაქის ცენტრში, ობელისკთან შეკრებილმა საზოგადოებამ, ომის ვეტერანებმა, მოსწავლე-ახალგაზრდობამ და სამღვდელოების წარმომადგენლებმა რუსეთ-საქართველოს ომის მერვე წლისთავთან დაკავშირებით პატივი მიაგეს დაღუპულთა ხსოვნას.

მუზეუმთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობა

სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის სახლ - მუზეუმთან მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო.

ამჟამად გზის საფუძვლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგ საფეხმავლოების მოწყობა და ასფალტის დაგება დაიწყება.

სამუშაოს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებულ გამარტივებულ ტენდერში გამარჯვებული შპს "შარა" ახორციელებს.

სამუშაოს ღირებულება 87 027 ლარია.

ომარ კელაპტრიშვილი – მარადიული ჰანგების დიდოსტატი

ლეგენდარული მუსიკოსის, საქართველოს სახალხო არტისტის, ქართული ფოლკლორის

პოპულარიზატორის ომარ კელაპტრიშვილის ნაღვაწსა და დანატოვარ კულტურულ მემკვიდრეობას ღირსეულ პატივს მიაგებს ქართველი საზოგადოება... თვალსაჩინო მუსიკოს-შემსრულებლის სახელობის კავთისხევის სახლ-მუზეუმში ხშირად იკრიბებიან ომარ კელაპტრიშვილის ნიჭის დამფასებლები, საქვეყნოდ აღიარებული ხელოვანები, თეატრისა და კინოს ცნობილი სახეები, მწერლები და ინტელიგენციის წარმომადგენლები, მისი უახლოესი მეგობრები. სულ ახლახან კი, კავთისხევში, მუსიკოსის სახლ-მუზეუმში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელიც ომარ კელაპტრიშვილის ახალი დივიდ-ალბომის /ფილმი-კონცერტი/ პრეზენტაციას მიეძღვნა. ამ საინტერესო ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო, მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება, კულტურის სამსახური და თავად სახლ-მუზეუმის დირექცია. საინფორმაციო მხარდამჭერი გახლდათ გაზეთი "ახალი განთიადი".

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, რომელმაც საზეიმოდ გამოაცხადა და დამსწრეთ მიულოცა მუსიკოსის დივიდ-ალბომის მარადიული ჰანგების დიდოსტატის გამოსვლა.

სახლ-მუზეუმის რესტავრირებულ და გალამაზებულ აივანზე, საგანგებოდ მოწყობილ მონიტორზე აპლოდისმენტების ფონზე მიმდინარეობდა ფოლკლორული შედევრების ჩვენება, ეს

რეპერტუარიდან ნამდვილად არ იყო მარტივი ყველაზე საუკეთესოს გამორჩევა.

... ემოციური, ძალიან ამაღლებული განწყობა იგრძნობოდა ფილმის ჩვენებისას. მოხიბლული, კმაყოფილი სტუმრები სიამაყითა და პატივისცემით სკანდირებდნენ, არ

გახლავთ ომარ კელაპტრიშვილის მრავალწლიანი საგასტროლო ეპოპეა...

– ერთსაათიანი ფილმი-კონცერტი, სადაც შესულია 19 ფოლკლორული შედევრი, თაობებს შემოუნახავს უმდიდრეს ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას, – წყდებოდა ბრავოს შეძახილები და ტაში. ფილმის ჩვენების შემდეგ მოგონებებით გამოვიდნენ მუსიკოსის უახლოესი მეგობრები და თანამოაზრეები: საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ "რუსთავის" ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი და ქართული ცეკვის ლეგ-

განაცხადა დისკის რეჟისორმა თემურ ხუციშვილმა, – მინდა იცოდეთ, რომ ალბომზე მუშაობის პროცესი შემოქმედებითად (დისკზე მუშაობდნენ: ციმი კელაპტრიშვილი, ომარ კელაპტრიშვილი /უმცროსი/, დინო გეთიაშვილი /მონტაჟი/, ბაია ასიეშვილი /რედაქტორი/, ნიკა გოგაშვილი /დიზაინერი/) იყო საინტერესო, შრომატევადი და ამავე დროს უაღრესად საპასუხისმგებლო, რადგან დამეთანხმებით, ალბათ, ომარ კელაპტრიშვილის მრავალმხრივი, უმდიდრესი მუსიკალური ენდა ფრიდონ სულაბერიძე, რომლებმაც დიდი სიყვარულით გაიხსენეს უერთგულესი მეგობარი და ჭეშმარიტი მუსიკოსი, ვრცლად და სინანულით გაიხსენეს ერთად გატარებული წლები.

ამაღელვებელი იყო ქართული თეატრის ცნობილი რეჟისორის დიმა ჯაიანის გამოსვლა, რომელმაც ჩვეული შემართებით, ომახიანად შეუძახა ომარ კელაპტრიშვილის პატივსაცემად შეკრებილ სტუმრებს, თან მოიშველია ხალხური პოეზიის ნიმუშები და ეს დაუვიწყარი ღონისძიება კიდევ უფრო დაამშვენა...

დამსწრე საზოგადოება უდიდესი ოვაციებით შეხვდა 80-იან წლებში ომარ კელაპტრიშვილის თაოსნობით დაარსებულ ფოლკლორულ ანსამბლ "კელაპტრის" (ლელა თათარაიძე, იზოლდა ფიფია, მარინა გიორგაძე, ლია ხუნწარია, თამარ ზარქუა, რუსუდან ჯოჯუა, დავით ქავათაძე, ომარ კელაპტრიშვილი /უმცროსი/, თამაზ მამალაძე, უჩა პატარიძე, დავით ლალუაშვილი) გამოსვლას. სახელგანთქმული კოლექტივი დღესაც დიდი მონდომებით ეწევა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას.

მოწვეულ სტუმრებს, შეხვედრის მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა სახლ-მუზეუმის მასპინძელი და ამ ღონისძიების მოთავე ციმი კელაპტრიშვილი, რომელმაც ომარ კელაპტრიშვილის ოჯახის სახელით უღრმესი მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტისა და მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელობას გაწეული დახმარებისა და თანადგომისათვის.

– ყურადღება, მზრუნველობა არ მოჰკლებია ომარ კელაპტრიშვილის სახელობის სახლ-მუზეუმს, განაცხადა მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა გივი მელაძემ, – საქმე ის გახლავთ, რომ მუნიციპალიტეტის გამგებლის ბატონ გოჩა გოჩიტაშვილის უშუალო ჩარევითა და ხელშეწყობით და ჩვენი გაერთიანების ორგანიზებით ჯერ კიდევ გასულ წელს მოხერხდა მუზეუმის შენობის სახურავის გამოცვლა, მთლიანად შეიცვალა აგრეთვე, ამოსასვლელი კიბის საფეხურებიც, მოწესრიგდა შენობის გარეფასადი. ბოლო ეტაპი გახლდათ მუზეუმის საგამოფენო დარბაზის იატაკის მოწესრიგება, კარფანჯრების ამოცვლა და აივნის ჭერის გალამაზება.

კავთისხევში გამართულ ღონისძიებას სტუმრობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ჯამბოლატ ქამხაძე, კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მიხეილ ქოსაშვილი, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

არხების რეაბილიტაცია

"აბრევულა"-ს არხის რეაბილიტაცია

სოფელ საკორინთლოში "აბრევულა"-ს სარწყავ არხს სარეაბილიტაცო სამუშაოები უტარდება. შპს "კასპის საგზაო" რკინა-ბეტონის არხის ამოწმენდის სამუშაოებს მექანიზირებული წესით ატარებს.

სამუშაო ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მასზე 5 930 ლარი დაიხარჯება. არხის გაწმენდითი სამუშაოები აგვისტოს თვეში სრულდება.

გაიწმინდა ყარაღაჯის სარწყავი არხი

რწყვის სეზონთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტში გრძელდება სარწყავი არხების წმენდა. გაიწმინდა ყარაღაჯის სარწყავი არხი, რომელიც ასარწყავებს სოფელ ყარაღაჯის, დოესის და ხოვლის ფართობებს.

ყარაღაჯის სარწყავი არხის გაწმენდითი სამუშაოები საქართველოს მელიორაციის თეზი - ოკამის და დოეს - გრაკლის სერვისცენტრმა ჩაატარა. ელექტროენერგიის დანახარჯს კასპის მუნიციპალიტეტი და საქართველოს მელიორაცია ანაზღაურებს - აღნიშნა სერვისცენტრის უფროსმა დავით ხუციშვილმა. მოსახლეობა არხით უკვე სარგებლობს.

თვალადში სანიაღვრე არხის მოწყობა მიმდინარეობს

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტში პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.

სოფელ თვალადში სანიაღვრე არხის მოწყობისა და გზის მოხრეშვის სამუშაოებს შპს "კასპის კეთილმოწყობა" ახორციელებს.

მოეწყობა წყალმიმღები ცხაური და მონოლითური ბეტონის კიუვეტი. სამუშაოზე 12 590 ლარი დაიხარჯება.

გახდით სასურველი სტუმარი

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება აყოყხლებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საუბნობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო ნუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

მკითხველს შეუძლია მიგვმართოს

მკითხველს შეუძლია მიგვწეროს შემეცნებით-გასართობი მასალები, საკვლევი ტექსტები. დარეგისტრირებულ მკითხველს შეუძლია მიგვმართოს მისამართზე - ყასბი, საკაკაძის ქ. 68. ან დარეკოს ტელეფონზე: 03712 22576.

ძეხეთ დრო

პოეტია - წელიწადის ძეხეთ დრო ელოდება თქვენ ეამოხმაურებაც. ამოძრავდით ოდა ქცია-ში, ეაეკვანით თქვენი ნაძეყვრები (ნაშმოადეინეთ ელექტრონული ვერსია) და ეაეკანით ისინი ნაზოეადოებაც.

გინდათ, გაიგოთ ეთისკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გახდით ჩვენი მკითხველი.

„გულს მისჭენია სატკივა ენა მთისა და შარისა„

ვაჟა ფშაველა გენიალური ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ლუკა რაზიკაშვილის ფსევდონიმია. მან შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, მაგრამ პოეტურ ქმნილებებს ფშავურ დიალექტზე წერდა, რის გამოც ბევრჯერ საყვედურობდნენ კიდეც თანამედროვენი. რაც შეეხება ვაჟას პროზაულ ნაწარმოებებსა და წერილებს სხვადასხვა თემაზე, ისინი წმინდა ქართული ენითაა დაწერილი... მისი ფილოსოფიური პროზა და პოეზია მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. მისთვის, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის სამშობლო, როგორც მშობელი, ერთია ქვეყანაზედა, დიახ, მას მიაჩნია, რომ ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი პატრიოტია, რადგან ადამიანის ღვაწლი, რომელიც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის...

აი, სწორედ ამ და კიდევ სხვა მნიშვნელოვან თემებზე ისაუბრეს კასპის საქალაქო ბიბლიოთეკაში /მენეჯერი მაია აბუაშვილი/ გამართულ თემატურ კონფერენციაზე, რომელიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განხილვას მიეძღვნა. ძალიან საინტერესო, კარგად მომზადებული გამოსვლები ჰქონდათ ბიბლიოთეკის სპეციალისტებს ეკა კუსრაშვილს /ვაჟა-ფშაველა, ბიოგრაფიული შტრიხები/, ლია მენაბდიშვილს /ვაჟა-ფშაველა ნეოლიბერალური პროფანაციის თაობაზე/, დიანა ხორბალაძეს /ვაჟა-ფშაველა რელიგიური მრწამსისათვის/, ეკა დალაქიშვილს /რამდენიმე ლექსის ანალიზი/, მაია მარჯანიძეს /ბუნების, როგორც მხატვრული ნაწარმოების მნიშვნელოვანი კომპონენტის ფუნქცია ვაჟას შემოქმედებაში/, ხათუნა ბახუაშვილს /შეყვარებული პოეტი/, ლალი თათანაშვილს /გრიგოლ რობაქიძე გველისმჭამელის შესახებ/, ეთერ ნიპარიშვილს /ალუდა ქეთელაური/.

კონფერენცია საათნახევარზე მეტხანს გაგრძელდა, ესწრებოდნენ როგორც აქტიური მკითხველები, ასევე მოსწავლეები და ახალგაზრდები. კონფერენციას ესწრებოდნენ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ კასპის მაჟორიტარი დეპუტატი ალექსანდრე გზირიშვილი და გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, ღონისძიების დასრულების შემდეგ სიტყვით გამოვიდა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი თეა ბარნაბიშვილი, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეხვედრის მონაწილეებს აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ასოციაციის საჩუქარი

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანებას კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო, საქმე ის გახლავთ, რომ სულ ახლახან კასპელი მკითხველებისათვის საჩუქრად 500 ლარიანი ვაუჩერი გამოიყო...

– დიახ, ჩვენი ქალაქის ბიბლიოთეკებისათვის ეს გახლავთ უძვირფასესი შენაძენი, – განაცხადა ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა, – ორგანიზებულად, სწორედ დათქმულ დროს მოხდა საჩუქრად გადმოცემული, ჩვენი მკითხველისათვის სხვებზე მეტად მოთხოვნადი ლიტერატურის შერჩევა და დღეს ეს ახალი წიგნები უკვე ჩვენს ბიბლიოთეკებშია.

გთავაზობთ ახალი წიგნების სრულ ჩამონათვალს:

რემარკი – "ტრიუმფალური თაღი,"
ბალზაკი – "ოცდაათი წლის ქალი,"
ჰემინგუეი – "განუყრელი დღესასწაული,"
დრაიზერი – "ამერიკული ტრაგედია,"
გოდერძი ჩოხელი – ხუთი ტომი,
ჰიუგო – "პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი,"
კონსტანტინე გამსახურდია – სამი ტომი,
მიხეილ ჯავახიშვილი – ოთხი ტომი,
პალასიო – "მექსიკის ყურის მეკობრენი,"
ჟაკოლიო –"ზღვის მძარცველები,"
მარიეტი – "გემი მოჩვენება,"
პემბერტონი – "რკინის მეკობრენი,"
ინგლისური საბავშვო ლექსები,
ანდერსენი – ორი ტომი,
ქართული მოთხრობა (ინგლისურ ენაზე),
რესპე – "ბარონ მიუნჰაუზენი,"
ჭაბუა ამირეჯიბი – "დათა თუთაშხია,"
საბავშვო ვეფხისტყაოსანი,
კიპლინგი – "მაუგლი,"
რჩეული საბავშვო მოთხრობები,
ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება,
ძველი ბერძნული მითოლოგია,
მსოფლიოს რჩეული იგავ-არაკები,
ჩემი საყვარელი ზღაპრები – "ფიფქია,"
ცისკარიშვილი – საბავშვო ენციკლოპედია,
გოდერძი ჩოხელი – "სულეთის კიდობანი",
გოდერძი ჩოხელი - "მღვდლის ცოდვა,"
სწორად თქმისა და წერის კულტურა,
ბრძნული რჩევების კრებული
კონრადი – "ლორდი ჯიმი".

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ხოვლეში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში (საქართველოს მთავრობის განკარგულება №265 19.04.2016 წ.) სოფელ ხოვლეში მისასვლელი გზის გასწვრივ პრობლემურ ადგილებზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სანიაღვრე არხი რკინა-ბეტონის ღარებით ეწყობა და აღნიშნულ სამუშაოებს შპს "საქმიანი ეზო" ახორციელებს.

სამუშაოების ღირებულება 32 988 ლარია.

მგზავრთა მოსაცდელების რეაბილიტაცია

სოფელ მეტეხში იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებაში - "სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში" მგზავრთა მოსაცდელის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოს შპს "მშენებელი 2013" ასრულებს.

ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲐᲓᲐᲜ _ ᲩᲕᲥᲕᲝᲯᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

“ახალი განთიადის” ივლისის ნომრის გამოსვლიდან სამიოდე დღეში შორეულ ბრაზილიაში საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი აინთება. ამიტომაც ივლისის სასპორტო ამბების გვერდში პირველსიტყვა ოლიმპიელებს ეკუთვნის. საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები ოლიმპიადის სასტარტო ეტაპზევე იასპარეზებს და ფრიად სასიამოვნოა ის, რომ შეჯიბრებაში პირველი ჩაებმება ჩვენებური ამირან პაპინაშვილი.

ᲝᲥᲠᲝ ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲕᲛᲘᲠᲗᲕ, ᲝᲥᲠᲝ!

ნაკრებში შვიდი ძიუდოისტია. ამირან პაპინაშვილი პლანეტის ყველაზე მსუბუქ წონასანთა შორის გამოვა (60 კილოგრამამდე). იგი 2013 წლის ევროპის პირველობათა 2-გზის ჩემპიონი (პირად და გუნდურ ჩათვლაში) და 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია. ნაკრების პირველი ნომერი ამჯერად ძალზე ახლოსაა უმაღლესი სპორტული ჯილდოს მოპოვებასთან — ოლიმპიურ ჩემპიონობასთან. აქამდე კასპელ მოჭიდავეებს საამისო შანსი არ მისცემიათ. უარს არც ვერცხლ-ბრინჯაოზე ვიტყვით, მაგრამ მის გულშემატკივრებს (როგორც ზოგადად ყველა ქართველი სპორტსმენისა) ოქრო გვსურს... აი, მაშინ უნდა ნახოთ, რა ზეიმი იქნება მის მშობლიურ სოფელში — ყარაღაჯში — და იქაური ცნობილი მოჭიდავე-მწვრთნელის, ჯამბულ პაპინაშვილის ოჯახში, სადაც ქართული სპორტის საიმედოდ კიდევ ერთი მომავალი ოლიმპიელი (ამირანის უმცროსი ძმა — ჯაბა) იზრდება.

(პ.ს.: თემის გაგრძელება იხ. აგვისტოს გვერდში).

ᲛᲬᲝᲗᲚᲘᲐᲜ ᲠᲔᲘᲢᲘᲜᲒᲨᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ, ᲝᲚᲝᲛᲨᲕᲨᲕᲘᲚᲘ _ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ

სპორტის ნებისმიერი სახეობის მსოფლიო ფედერაციები სისტემატურად აჯამებენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა ნაჩვენებ შედეგებს და აქვეყნებენ საერთო მიღწევათა რეიტინგებს. ახლახან ეს მოიმოქმედა სამბოს საერთაშორისო ფედერაციამაც. სასიხარულოა, რომ ცხრა წონით კატეგორიაში მოხვდა თორმეტი ქართველი სამბოელი (ზოგში — 2-2). ქართველები პირველ პოზიციებზე არიან სამ კატეგორიაში. სასიამოვნო ცნობა: +100 კილოგრამის კატეგორიაში პირველ ნომრად მიჩნეულია კასპის სახელით მოასპარეზე ბექა ბერძენიშვილი (პირადი მწვრთნელი — ნუგზარ მამულაშვილი), რომლის გამარჯვებებზე ხშირად იუწყება ჩვენი გაზეთი (მას 1660 ქულა დაუგროვდა). სარეიტინგო ჩათვლაში თავის წონაში მეცხრამეტე ადგილზეა მეორე ჩვენებურიც — მეტეხელი ზვიად ოდოშაშვილი (იმავე მწვრთნელის შეგირდი), 167 ქულით.

პ.ს.: ბექა აგვისტოს იუბილარია: 3 აგვისტოს 26 წლისა შესრულდა.

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲣᲚᲘ ᲜᲐᲯᲠᲔᲑᲨᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲘᲛᲧᲐᲠᲔᲑᲡ

ბექა ბერძენიშვილიცა და ზვიად ოდოშაშვილიც ქართული ჭიდაობის ეროვნული ნაკრების ძირითადი წევრები არიან. ახლახან, ივნისში, ორივემ დაადასტურა ხმაურიანი გამარჯვებით, რომ თავიანთ წონებში უკონკურენტონი არიან: ქ. ფოთში გამართულ საქართველოს პირველობაზე მათ ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს!

ბევრი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის ანალოგიური შედეგით: ნუგზარ მამულაშვილის მესამე შეგირგიც — კახა მამულაშვილი (მისივე ვაჟიშვილი) — საქართველოს ჩემპიონის მედლით დაბრუნდა ზღვისპირა ქალაქიდან.

შ.პ.ს. “კეფალ-პლასტიკის” მინიფეხბურთელთა გუნდი რამდენიმე ნიშნით ტურნირის დაწყებისთანავე გამოირჩა: დიზაინით გაწყობილი სათამაშო ფორმით, პირველივე მატჩში სარეკორდო და შედეგიანი გამარჯვებით, თანაბარი სიძლიერით დაკომპლექტებული შემადგენლობით, ბომბარდირის უნარით დაჯილდოებული ლიდერის ყოლით (მამუკა შუბითიძემ 21 გატანილი გოლი მიითვალა)... ამდენად, ერთ-ერთ ფავორიტად თავიდანვე გაცხადდა. საამისო შესაძლებლობა, სხვა გუნდებიდან, უპირველესად, “ჰაიდელბერგის” ორივე (!) გუნდს გააჩნდა და, კიდევ, “ენერგოპროჯორჯიას” მოთამაშეებს. “კეფალმა” ნახევარფინალში სწორედ მეცემენტეთა მეორე გუნდი დაჯაბნა და ფინალში კი პირველს დაუწყვილდა. ეს იყო ღირსეულ მეტოქეთა დაპირისპირება და, მიუხედავად იმისა, რომ კასპის “ჰაიდელბერგი” უფრო გამოცდილი გუნდია, საქართველოს მასშტაბით პირველია ცემენტის საწარმოთა შორის ბოლო წლების გათამაშებებში, საკუთარ ქალაქში (და, სულაც, საკუთარ არენაზე) ვერაფერი გააწყო ახალ, და უფრო მონდომებულ, კოლექტივთან. მაშ, ასე: კასპის საზაფხულო პირველობის გადამწყვეტი მატჩი “კეფალის” დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა.

“ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲘ.” _ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲮᲣᲗᲯᲔᲠᲘᲐᲜᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

 აი, ჩემპიონის შემადგენლობა: კობა დემეტრაშვილი, ბუბა წინამძღვრიშვილი, მამუკა შუბითიძე (ფინალში გაიტანა 3 ბურთი), ჯონი ჯარმელაშვილი (2), გიგა გოგიაშვილი, ვალერი ხაჩატუროვი, გიორგი დათუაშვილი (3), ნუგზარ ბახტაძე, ლევან ბალხამიშვილი, ნუგზარ ბალხამიშვილი და ლევან გუბელაძე.

“ჰაიდელბერგის” წარმომადგენლებს ნუგეშად ფინალისტობა დაურჩათ (თასთან ერთად) და ის, რომ საუკეთესოდ დასახელდა მათი მეკარე — ვლადიმერ დარახველიძე. სპეციალური პრიზი გადასცა ოთარ კიტრიაშვილმა, წარმოების მექანიკური სამსახურის თავკაცმა, ვისთანაც ვოვა ხარატად მუშაობს... აი, მესამე ადგილისათვის მატჩში კი “ენერგოპროჯორჯიას” მოთამაშეებმა იყოჩაღეს.

ᲝᲥᲘᲡᲞᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ, ᲝᲥᲘᲡᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ

2017 წელს კასპის ბავშვთა საფეხბურთო სკოლას დაარსებიდან 30 წელი უსრულდება, მისი შექმნა დაკავშირებულია ერთი კაცის სახელთან. მეტიც, მან, ავთანდილ ჯალალმა, სკოლა დღემდე საკუთარი მხრებითა და ალალი გარჯით შეინარჩუნა და მოიყვანა.

ღვაწლმოსილმა დირექტორმა და მწვრთნელმა, რომელსაც 2016 წლის მაისში დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა, ალამდარობა ახალგაზრდა კადრს გადაულოცა.

სიმბოლურია: ზაზა ჯალალი ამავე სკოლის აღზრდილი და უკვე კვალიფიციური, ლიცენზირებული მწვრთნელია.

სიმბოლური ფაქტია ისიც, რომ ესოდენ რეზონანსული მიღწევა სკოლის აღსაზრდელებს აქამდე არ ჰქონიათ:

2015-16 წლების საფეხბურთო სეზონში ერთბაშად 6 გუნდი (10-დან) გახდა საქართველოს რეგიონული გათამაშებების ჩემპიონი.

ივნისის ბოლოს სოფელ სამთავისის საფეხბურთო მოედანზე გაიმართა წარმატებული გუნდების, მწვრთნელებისა და მოთამაშეების დაჯილდოების ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობდა უამრავი საპატიო სტუმარი, მშობელი და ნორჩი ფეხბურთელი.

სპორტული ზაფხული: აგვისტო

პაპინაშვილების საოლიმპო

"მთავარია ოლიმპიადაში მონაწილეობა და არა გამარჯვება!" – ასეთია საზაფხულო სპორტული ოლიმპიადების უძველესი და უმთავრესი, კეთილშობილი სულისკვეთებით აღსავსე, დევიზი. როგორც ჩანს, იგი დამამშვიდებელ არგუმენტად უფრო მაშინ მოყავთ, როცა სპორტსმენი უმედლოდ რჩება. რიო-დე-ჟანეიროს 31-ე ოლიმპიადაზე სწორედ ასეთი რამ დაემართა ქართველ ძიუდოისტს, ამირან პაპინაშვილს. ისიც და რამდენიმე სხვა მოჭიდავეც, ვისგანაც საჩემპიონო გამარჯვებებს ველოდით, უმედლებოდ დაგვიბრუნდნენ ბრაზილიიდან.

ამირან პაპინაშვილი სპორტული – საჭიდაო ოჯახური დინასტიის წარმომადგენელია. იგი ყველაზე ტიტულოვანი მოჭიდავეა კასპის რაიონის (მუნიციპალიტეტის) სინამდვილეში.

დაიბადა 1988 წლის 17 ივნისს. 9 წლის ასაკში ვარჯიში დაიწყო მამის მეთვალყურეობით. 17 წლისა მოხვდა საქართველოს ნაკრებში (უფროსებში). ჭიდაობის მანერით ჩამოგავს პაპას – ამირან პაპინაშვილს (1939 – 1985 წ.წ.) – სპორტის ეროვნული სახეობის ჭეშმარიტ ოსტატს, მრავალგზის ჩემპიონს. ჭიდაობდა დიდი პაპაც – მიხეილი, პეპერაც – ლუკა ("ლუკაანი" – სოფელში პაპინაშვილებს დღესაც ასე უხმობენ)... ჩვენი ოლიმპიელი ყველას დაემჯობინა, მამა-პაპებსაც და სხვა პაპინაშვილებსაც.

ქართულ ჭიდაობაში არის საქართველოს ჩემპიონი; სამბოში – საქართველოს 2-გზის ჩემპიონი და ევროპის მე-3 პრიზიორი; ძიუდოში – საქართველოს 2-გზის ჩემპიონი (ჭაბუკებში), საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული.

მისი ცხოვრების მთავარი გზა ძიუდოს უკავშირდება. აი, ამირანისეული რეზონანსული გამარჯვებების კრებსითი ნუსხა:

2007 – ბაქოს (აზერბაიჯანი) საერთაშორისო ტურნირი – მე-3 ადგილი;

2008 – თბილისის დიდი ტურნირი – პირველი ადგილი;

2009 – პარიზის (საფრანგეთი) "გრანდ შლემი" – მე-2 პრიზიორი,

– თბილისის "მსოფლიო თასი" – გამარჯვებული;

2010 – ამსტერდამის (ჰოლანდია) "გრანპრი" – პირველი პრიზის მფლობელი;

2012 – მოსკოვის (რუსეთი) "გრანდ შლემი" – ჩემპიონი;

2013 – ევროპის ჩემპიონატისა (ბუდაპეშტი, უნგრეთი) და მსოფლიო პირველობის 2-2-გზის ჩემპიონი (პირად და გუნდურ ჩათვლებში);

2014 – ევროპის ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში) და მე-2 პრიზიორი (პირადში – პარიზი, საფრანგეთი), – მსოფლიო ჩემპიონატის მე-3 პრიზიორი (ბაქო, აზერბაიჯანი);

2015 – ევროპის პირველი სპორტული თამაშების (ბაქო, აზერბაიჯანი) ჩემპიონი (პირადში) და მე-2 პრიზიორი (გუნდურ ჩათვლაში). შევნიშნავთ აქვე, რომ ბაქოდან იმავე სინჯების კიდევ 2 მედალი წამოიღო, რადგანაც ის თამაშები პარალელურად ჩაითვალა ევროპის ჩემპიონატად;

2016 – ევროპის ჩემპიონი (გუნდურ ჩათვლაში),

– აბუდაბის (არაბეთის საამიროები) "გრანდ შლემი" – გამარჯვებული,

– რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილია) 31-ე საზაფხულო ოლიმპიადა – მე-5 ადგილი... რიოში ოქროს მაძიებლებიდან ქართველ ძიუდოისტთაგან იგი ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც იაპონელ მეტოქეს მოუგო, მაგრამ ტაკატომ მაინც მოახერხა ბრინჯაოს დაუფლება (აი, პარადოქსი!), ამირანს კი ხელი მოეცარა... როგორ არ დავიმშვიდოთ თავი იმით, რომ მას 4 წელი მოუწევს ლოდინი სარევანშოდ. დიახ, სიმბოლურია, რომ 2020 წელში ოლიმპიადას სწორედ იაპონიის დედაქალაქი უმასპინძლებს. შეგახსენებთ, ტოკიოში ოლიმპიადა პირველად ჩატარდა 1964 წელს (სწორედ იქიდან იწყება ჩემი საოლიმპიადო მეხსიერების ათვლა). ამდენად, კვლავინდებურად ძალაში რჩება ჩვენი კეთილი სურვილი: – ოქრო გვინდა, ამირან, ოქრო!

გაგაცნობთ ოლიმპიელი ამირან პაპინაშვილის ოჯახურ მდგომარეობასაც: ჰყავს მშობლები: დედა – ლია ჭანუყვაძე, მამა – ჯამბულ პაპინაშვილი – სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში (1982 წ.), საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი (1981-83 წლებში), საქართველოს 1983 წლის მე-8 სპარტაკიადის ჩემპიონი (ქართულ ჭიდაობაში) და მე-3 პრიზიორი (სამბოში); ასევე, მეუღლე – თამუნა ბეჟიტაშვილი და შვილები – 6 წლის ლიკა და 3 წლის დაჩი.

ამდენად, პაპინაშვილების საოლიმპო გზაზე ახალმა ვარსკვლავმა გამოანათა.

ა. კალანდაძე.

გამოყენებულია საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ფოტომასალა.

მინიფეხბურთელთა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეა ... მოჭიდავე

ვინმემ რომ გითხრათ, მინიფეხბურთელთა საქალაქო ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ მოქმედი მოჭიდავე დასახელდაო, ალბათ, ძნელად დაიჯერებთ. არადა, სინამდვილეს მოგახსენებთ:

კასპის საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქალაქო პირველობაზე (10 ივნისი – 1 ივლისი) ჩემპიონ-პრიზიორ გუნდებს კუთვნილი პრიზები გადაეცათ. დაუჯილდოებლად არც ცალკეული ამპლუასა და ნომინაციების მოთამაშეები დატოვეს.

საგანგებო ჟიურიმ საუკეთესოდ აღიარა მოთამაშე, რომლის გუნდი ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ ნახევარფინალამდე წაბორძიკდა.

დიახ, სპორტგაერთიანების გუნდის მანამდელი წინსვლა მისმა საზრიანმა, ტექნიკურმა და შედეგიანმა ბურთაობამ განაპირობა, გოლეადორის წოდებაზეც აცხადებდა პრეტენზიას და, საბოლოოდ, 16 გატანილი გოლი დაუგროვდა. ამასთან, ერთი მატჩი გამოტოვა ფრიად საპატიო მისიით. დიახ, ვსაუბრობთ მოჭიდავე ზვიად ოდოშაშვილზე, რომელმაც ქ. ფოთში მოასწრო ასპარეზობა საქართველოს პირველობაზე და ჩემპიონობის შანსი ბრწყინვალედ გამოიყენა!

ესეც პროფესიონალი მოჭიდავის მრავალმხრივი შესაძლებლობების მისაბაძი მაგალითი!

"ეს ბიჭი კარგად თამაშობს" ...

ხალხური სახალისო მისამღერი ხომ გახსოვთ: – "ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო" ... ამ ფრაზას საფეხბურთო თარგზე თუ გადავაწყობთ, ასეთად გარდაისახება: – "ეს ბიჭი კარგად ბურთაობს, მწვრთნელებს აწონებს თავსაო".

დიდი ფეხბურთი, როგორც წესი, ტალანტებს ბავშვთა ფეხბურთიდან იღებს და ისევე საზრდოობს, როგორც წყალუხვი მდინარე – მცირე-მცირე შენაკადებიდან და რუ-წყაროებიდან.

ახლახან კასპის საბავშვო ფეხბურთის სკოლის ახალგაზრდა დირექტორმა, ზაზა ჯალალმა, ფრიად სასიამოვნო ინფორმაცია მოგვაწოდა, რაც უკავშირდება სკოლაში დაფრთიანებული ჭაბუკების მიწვევას საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატების უმაღლესი და პირველი ლიგების მონაწილე გუნდებში. გაგაცნობთ რამდენიმეს ვინაობას:

17 წლის ტარიელ ღვინიაშვილი, რომელმაც თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემია დაამთავრა, გაისინჯა სოხუმის "ცხუმში" და მოსამზადებელ პერიოდს გადის ახალი გუნდის შემადგენლობაში.

სკოლის ასაკობრივი გუნდების წამყვანი მოთამაშეები თორნიკე თაგვიაშვილი, გიორგი დალაქიშვილი და ჯიმი აბულაძე ბათუმის "დინამოს" ახალწვეულები გახდნენ. რამდენად გაამართლებენ ისინი ოსტატთა გუნდების მწვრთნელების მხრიდან გამოცხადებულ ნდობას და როგორ მოერგებიან გაზრდილ საფეხბურთო მოდელს, ამას ახლო მომავალი წარმოაჩენს. ესენი, ძირითადად, შემტევი ნახევარმცველები და თავდამსხმელები არიან (თორნიკემ, მაგალითად, წელს კასპის "განთიადის" სახელით 31 გოლი გაიტანა და გათამაშების ბომბარდირი გახდა) და მათგან კვლავაც შედეგიან თამაშს მოელიან.

გზა დავულოცოთ ჩვენს ბიჭებს!

,,ახალი გზა,, იძიებს ცალიერებლ ფურცლებს ჩვენი ცვგზეთ ფოტო-მასალის შეცვლელად. თხოვნით მივმართავთ თანამრჯოლებს - დადოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლ და ცახალებლ ფოტოები!

გამოიწერეთ "ახალი გზა" და გახდით ჩვენი მკითხველი!

2016 ჩვენი გაზეთის საიუბილეო წელია. თუ ფლობთ საინტერესო და მნიშვნელოვან მასალას გაზეთის ისტორიიდან გამოგვეხმაურეთ.

"ლუარსაბ მეფის დროს იყო სახელოვანი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა დღესაც აუხსნელია ჩვენი ისტორიკოსთაგან, დღეს აქამდე არც ავად არის ჩვენს მიერ დაფასებული და არც კარგადაა. მისი ავკარგიანობით აღსავსე განსაცდელიანი ცხოვრება და საოცარი მოქმედებანი, მისნი ავად და კარგადაც აღსახსნელნი დიდი საქმენი, ჯერ შიგნეულად გამოძიებულნი არ არიან და ელიან პირუთვნელსა გამკითხველსა".

ილია ჭავჭავაძე.

გიორგი სააკაძის კვალდაკვალ

მუზეუმის თანამშრომლებს დიდი მოურავის მემორიალურ ნივთებზე საუბრისას სიცარიელის განცდა გვეუფლებოდა, ჟამთა სიავემ თითქმის არაფერი შემოგვინახა. ნოსტის კოშკი და სასახლე ხომ არაერთხელ აოხრებულა გარეშე, თუ შინაური მტრისგან. თვითონ დიდი მოურავიც ხომ ისტორიის ქარტეხილმა ხან იქით გადააგდო, ხან აქეთ.

სამწუხაროდ, სააკაძეთა ფეოდალურ სახლთან დაკავშირებით უამრავ საბუთს ჩვენამდე არ მოუღწევია. საბუთების ნაწილი ირანისა და თურქეთის წიგნსაცავებშია შემონახული.



სააკაძენი აზნაურთა რიცხვს ეკუთვნიან, ისინი ჯერ კლდეკარის მოხელეებად, მოგვიანებით კი თეძმისა და ტანას ხეობის ქალაქებისა თუ სოფლების მოურავებად ჩანან.

თამარ მეფის ერთგული ყოფილა ჯანზურაბ სააკაძე (ხელნაწერი HD - 13956ª 1652 წელი გვ 1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი), ჯანზურაბის შთამომავალია დონა სააკაძე (ხელნაწერი HD - 1368 1440 წელი გვ 1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი) - მეფე ბაგრატ V-ის ერთგული თანამებრძოლი და მეფის რეზიდენციის უფროსი. დონა სააკაძის შვილიშვილი ივანე სააკაძე - მეფე ბაგრატ V- ის ერთგული თანამებრძოლი მოიხსენიება კავთისხევის მოურავად, - გულშარ დედოფლის სიგელში (ხელნაწერი HD - 1355, 14?2 წელი გვ1. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი), სწორედ კავთისხევის მოურავის ივანე სააკაძის შვილიშვილი ყოფილა ივანე სააკაძე - თბილისის მოურავი. ამ ივანე სააკაძის შვილიშვილია სიაუში-მეფის მრჩეველი, ხაზინადარი და თბილისის მოურავი (ხელნაწერი HD - 14444, 1588 წელი. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი).

სიაუშის შვილია დიდი მოურავი გიორგი სააკაძე შიოშის (სიაუშის) ძე. გიორგის დაბადების შემდგომ სიაუშ სააკაძის ოჯახი ჩამოსახლებულა სოფელ ნოსტეში.

XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში, როცა გიორგი სააკაძე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, საქართველო აღარ წარმოადგენდა ერთიან და ძლიერ სახელმწიფოს. მეფის ცენტრალური ხელისუფლება ძირითადად წვრილ თავადებსა და აზნაურებს ეყრდნობოდა.

კიდევ უფრო რთული იყო საქართველოს საგარეო მდგომარეობა გიორგი სააკაძის დროინდელი საქართველოსათვის: კავკასიაში გავლენების გადასანაწილებლად ირანსა და ოსმალეთს შორის მუდმივად მიდიოდა ომები. ერთ-ერთი მთავარი მიზანი საქართველოს ხელში ჩაგდება იყო. 1555 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო. ამ ზავის მიხედვით დამპყრობლებმა საქართველო შუაზე გაიყვეს.

გიორგი სააკაძემ თავისი რეზიდენცია სოფელ ნოსტეში გადაიტანა. ამ რაიონში იყო სააკაძეთა მამულების დიდი ნაწილი. აქვე ახლოს ერთაწმინდას, იყო სააკაძეთა საგვარეულო მონასტერიც.

სააკაძეთა ფეოდალური გვარი მეფის (ჯერ სიმონის, შემდეგ კი გიორგი და ლუარსაბის) მომხრეობით და მათი დახმარებით იყო გაძლიერებული და აღზევებული, ასე რომ სააკაძეთა ინტერესები მეფის ხელისუფლების გაძლიერება-განმტკიცებას მოითხოვდა.

ლუარსაბმა ძალიან დაიახლოვა გიორგი სააკაძე, გადასცა მას მამამისის თანამდებობა და 1608 წელს თბილისის მოურავად დანიშნა.

ერთადერთი, რაც ვიცოდი და მახსოვდა იყო ის, რომ საქართველოს ხელოვნების ისტორიის მუზეუმში დაცული იყო გ. სააკაძისეული ხმალი, რომელიც 2006 წელს ვნახე. მოგვიანებით, როდესაც კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციის გეგმაზე დავიწყეთ მუშაობა, მოვიკითხეთ სააკაძის ხმალი ხელოვნების მუზეუმში, ვიფიქრეთ ხმალს თუ არა, მის სურათს მაინც გამოვიტანდით ექსპოზიციაში, მაგრამ ხმალი ხელოვნების მუზეუმში ვერ ვნახეთ, გვითხრეს საქართველოს ეროვნულ მუზეუმშიაო, მივმართე ეროვნულ

მუზეუმს და იქ გვიპასუხეს დიდი მოურავის ხმალი ჯანაშიას მუზეუმში საერთოდ არ ყოფილაო. მოკლედ რამდენიმე თვის ძებნის შემდეგ ისევ ხელოვნების ისტორიის მუზეუმის საცავში მივაკვლიე. კითხვა-კითხვით შევხვდი ხელოვნების ისტორიის მუზეუმის ფონდის კურატორს ქალბატონ ელენე კავლელაშვილს, რომელმაც დამიდასტურა, რომ სააკაძისეული ხმალი ინახება ხელოვნების ისტორიის მუზეუმის საცავში. შესაბამისი მიმართვის შემდეგ, პირადად ვნახე მოოქროვილი გორდა ხმალი, ხმლის მთლიანი სიგრძე 95 სმ, პირის სიგძე 81 სმ. პირზე აქვს ოქროს ზარნიშით შესრულებული სპარსულენოვანი წარწერა "თბილისის მოურავი გიორგი." ხმლის შესრულების ხანა საუკუნე და წარწერაში მოხსენებული თავდაპირველი მფლობელის სახელი - გიორგი ტიტულით-თბილისის მოურავი, საფუძველს იძლევა ხმალი დავუკავშიროთ გიორგი სააკაძის სახელს.

სააკაძის სახელი და ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა ტაშისკარის 1609 წლის ბრძოლის შემდეგ. მალევე 1611 წელს ლუარსაბ მეფე ცოლად ირთავს გიორგი სააკაძის დას. ქვათახევში ჯვარი მღვდელმა იოსებ კანდელაკმა დაწერა. ეს ქორწინება სააკაძის დასის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ არ ეძინა სააკაძის მოწინააღმდეგე თავადურ ბანაკს: ნახევარი წელიწადი უჩიჩინეს მეფეს გააგდე უჯიშო დედოფალი და მოკალი მოღალატე მოურავიო. ლუარსაბი ერთხანს უარობდა, საყვარელი ქალისა და ერთგული მოურავის ჩამოშორებას, არ უნდოდა, მაგრამ მერე დათმო. 1612 წელს 23 მაისს თავს დაესხნენ ნოსტეს, სასახლე გაძარცვეს, გადაწვეს ყველაფერი. სააკაძის ოჯახი თავის ცოლშვილით ირანის შორეულ გზას დაადგა.

მოკლე ხანში გიორგი სააკაძემ დიდი სახელი მოიხვეჭა უცხო ქვეყნის სამსახურში.

ეროვნული მუზეუმის იარაღის ფონდების კურატორ ბატონ მამუკა ქაფიანიძესთან ხშირი ურთიერთობის დროს (რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია ჩვენ მუზეუმს) საუბარში ცნობილი ადამიანების სახელობით იარაღებზე საუბრისას ახსენა სააკაძისეული თოფი, რამაც ჩემი გაოცება გამოიწვია. სააკაძის თოფის შესახებ მანამდე არაფერი მსმენოდა. ბატონმა მამუკამ იარაღის ფონდებში მაჩვენა მე-17 საუკუნით დათარიღებული კაჟიანი თოფი-დაწახნაგებული ლულით, კონდახი ინკრუსტირებულია თითბერის, რქის და სადაფის ფირფიტებით. ეროვნულმა მუზეუმმა თოფი შეიძინა ზურაბ კობიაშვილისაგან, რომლის ბაბუა ზურაბ კობიევი არაგვის მოურავი იყო, იგი იარაღის მოყვარული ყოფილა. მას ერთ-ერთი თარხან-მოურავისთვის უჩუქებია საუკეთესო ფაშატი ცხენი და ორი მწევარი მემკვიდრეობით მიღებული იარაღის სანაცვლოდ (იარაღი გ. სააკაძის ნაქონი ყოფილა). თოფს აკლია ფირფიტები და ზუმბა. სიგრძე - 164 სმ.

სხვათა შორის, გიორგი სააკაძის გადახვეწიდან ცოტა ხანში ლუარსაბ მეფეც ირანის გზას დაადგა, ისიც იძულებით, საიდანაც ის აღარ დაბრუნებულა.

1616 წელს მოურავი ქართლში დაბრუნდა. მას ბაგრატ ხანისაგან მამულების აღდგენისა და განახლების ნებართვა მიუღია.

ეროვნულ მუზეუმში, ერმაკოვის ფონდებში მუშაობისას გავიცანი ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების იარაღის ფონდის კურატორი ქალბატონი ლუიზა გვრიტიშვილი, მისი დაკვალიანებით მივაკითხე ეროვნული მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის ფონდების კურატორ ბატონ ნიკო მურღულიას. ამ ფონდში დაცული აღმოჩნდა 1965-1967 წლებში სოფელ ნოსტეში სააკაძეების კოშკის და მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოებულ გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები. გათხრები ჩატარდა აწ გარდაცვლილ ბატონ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ძირითადად ეთნოგრაფიული დანიშნულებისაა და უმეტესობა ძალიან დაზიანებულია. არანაირი რესტავრაცია-კონსერვაცია, დაცულია პირვანდელი სახით. ეს არც არის გასაკვირი: ეროვნულ მუზეუმში დაცულ ასეულ ათასობით არქეოლოგიურ ექსპონატს შორის ძნელია გამოარჩიო მე-17 საუკუნის არქეოლოგიური დაზიანებული ნივთები, მაგრამ იმათთვის, ვინც სააკაძის ნაკვალევის ძებნითაა დაკავებული ყველა წვრილმანი მნიშვნელოვანია.

შუა საუკუნეების ფონდში დაცულია შემდეგი მასალა: დოქები, თეფშები კერამიკის, თიხის კერის თავი, ძვლის ტარიანი დანა, მოზრდილი მინის ჭურჭლის ყელი, კოჭობი, ასტამი, სამსჭვალები, თიხის ჩიბუხის ფრაგმენტი, აბზინდა, სპილენძის კარგად შენახული თასი (ცნობილი თრიალეთის თასის მსგავსი), შანდალი, სპილენძისავე ჯამი, ეჟვანის ფრაგმენტი, მძივის ფრაგმენტი. გათხრებისას ნახეს კარგ მდგომარეობაში შემონახული მე-17 საუკუნის წყალგაყვანილობის ნაწილი, 3 კერამიკის მილი.

გ. სააკაძის კოშკში ნახეს შავპრიალა კერამიკის ყურებიანი მოზრდილი ჯამი, რომელიც აშკარად ადრექრისტიანული ხანისაა, გასაკვირი არ არის, რამეთუ სააკაძეების ოჯახში მათ თანამედროვე ჭურჭელთან ერთად აუცილებლად იქნებოდა წინაპართა დანატოვარი ნივთები.

ირანის შაჰთან "სამსახურში მყოფმა" გ. სააკაძემ მარტყოფის ველზე ქართლ-კახეთი ამოძირკვას გადაარჩინა. თურქი ისტორიკოსი იბრაგიმ ფეჩევი აღნიშნავს: ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი ზარალი შაჰს არ მოსვლიაო. ირანის მთელი არმიის ნახევარი 1625 წელს საქართველოში განადგურდა.

გიორგი სააკაძე შაჰ-აბასის ახალ შემოსევას ელოდებოდა: მან მრავალი სამხედრო და ადმინისტრაციული ღონისძიება განახორციელა ქვეყნის თვდაცვის გასაძლიერებლად, მაგრამ ქვეყნის ავადმოსურნეთ არ ეძინათ. 1625 წელს მარაბდის ველზე ირანის არმიასთან ბრძოლის წინ, მარტყოფის ომის გმირი და ნიჭიერი სარდალი ფაქტიურად ჩამოაშორეს ბრძოლის ხელმძღვანელობას, მთავარსარდლობა თეიმურაზ პირველმა ითავა. შედეგმაც არ დააყოვნა - თავიდან მოგებული ომი, ქართველებისათვის მძიმე მარცხით დასრულდა.

შემდეგ იყო ბრძოლა მდ. ქსანზე, სააკაძემ შური იძია მარაბდისთვის, ირანელთა მთავარი რაზმი, არმიის სარდალთან ერთად გაანადგურა დიდმა მოურავმა, ამის შემდეგ გიორგი სააკაძემ კიდევ უფრო შეავიწროვა სპარსელები - გორის ციხე აიღო, სამცხედან განდევნა, განჯისა და ლორეს ციხეებიც გაანთავისუფლა ირანელებისაგან.

გიორგი სააკაძემ ქვეყნის საშინაო საქმეც მოაწესრიგა. ქართლ-კახეთი გაერთიანებული იყო, ბრძოლის განახლების შემ

*დასასრული გვ 9.

გიორგი სააკაძის ეკალოეკალ

დასასრული. დასაწყისი გვ8.

დეგ იმერეთიდან თეიმურაზ მეფე გადმოვიდა და დიდ მოურავთან ერთად იბრძოდა ქვეყნის მტრის წინააღმდეგ. საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს აღდგენის საქმე დაწყებული იყო. დიდი მოურავი ახლა ქართლ-კახეთისა და იმერეთის გაერთიანებაზე ოცნებობდა. ბუნებრივია, ბრძოლებმა კიდევ უფრო გაზარდა სააკაძის ავტორიტეტი. მისი სახელი ქვეყანას პირზე ეკერა. თითქოს



სააკაძისეული
სასახლე სტამბულში

ქვეყნის ხსნის გზაზე არავინ უშლიდა ხელს, მაგრამ მოშურნეთა ენამ და გარეშე მტრებმაც მოახერხეს თეიმურაზისა და სააკაძის დაპირისპირება. თეიმურაზს, რომელიც პატივმოყვარე და ეჭვიანი იყო, როგორც ჩანს, სააკაძის საქმიანობა და მისი ასეთი განდიდება არ მოსწონდა. იქნებ სააკაძეც გამომწვევად იქცეოდა, როდესაც ქართლს ფაქტიურად ის მართავდა, როცა ელჩებს გზავნიდა მეფესთან შეუთნხმებლად. ეთათბირებოდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს. ყველაფერი ეს თეიმურაზის, როგორც მეფის უგულებელყოფას ნიშნავდა. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო: ძმათა შორის სისხლისმღვრელი ომი ბაზალეთის ტბასთან. ბაზალეთის ომი ქართველი ხალხის ტრაგედია იყო და არა მარტო იმიტომ, რომ იქ მოძმეთა სისხლი დაიღვარა, არამედ უფრო იმიტომაც, რომ ამ ომმა საქართველოს გაერთიანების საქმე დიდი ხნით დაასამარა.

გიორგი სააკაძე იძულებული გახდა ხელმეორედ გადახვეწილიყო სამშობლოდან. ახლა უკვე სამუდამოდ. თუმცა, თვითონ ალბათ ასე არ ფიქრობდა. იგი მთელი ამალით ოსმალეთში ჩავიდა და სულთანს დახმარება სთხოვა. სააკაძის მამულები კვლავ მტრებმა დაიტაცეს. მოურავი დიდი პატივით მიიღეს სულთნის კარზე. მას დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს ყიზილბაშების განადგურება საქართველოში. სტამბულში შეხვდა დიდი მოურავი კათოლიკე მისიონერებს, მათ შორის კასტელს, რომლის მიერ შესრულებული სააკაძის პორტრეტი შემოგვრჩა.

ქალბატონ ლუიზა გვრიტიშვილის დახმარებით შუა საუკუნეების ფონდებში დაცული დიდი მოურავის ოჯახიდან წამოსული სპილენძის მოკალული თეფში ვნახე, თეფშს მხედრული წარწერა აქვს "გიორგი სააკაძისა და შიოშის არის."

აღნიშნული ნივთი ნაპოვნია 1915 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს. ართვინიდან ერზრუმისკენ მიმავალ გზასთან სამხრეთით მდებარე სოფელთან. 1915 წელს საომარი მოქმედებების დროს სანიტრები ორმოებში ეძებდნენ დამალულ ნივთებს. ეს ნივთიც ორმოში იპოვეს სხვა ნივთებთან ერთად, მათი უმეტესობა გაუყიდიათ ქალაქ ბათუმში, ხოლო ეს გადარჩენილი თეფში ეროვნულ მუზეუმს შეუსყიდია 1947 წელს სოფელ ძეგვში მცხოვრებ ვინმე გიორგისგან...

ასე, რომ ძებნა-ძიება გრძელდება და ხშირად შედეგიანიც არის.

გიორგი ჩადუნელი, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი.

გამოიწერეთ "ახალი გზნთავლი" გზლით ჩვენი მკითხველი!

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებიდან?

გ ი ნ დ ა თ, გაიგოთ ეროსკაცთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გ ი ნ დ ა თ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

დასასრული.
დასაწყისი გვ2.

მოციქულები ამ წესს ყოველთვის ასრულებდნენ, მიუხედავად იმისა, მარტო ტრაპეზობდნენ ისინი თუ – სხვებთან ერთად.

ამგვარად მოიქცნენ საღამოს ტრაპეზზე – გეთსიმანიიდან დაბრუნების შემდეგ, ისინი სულ ღვთისმშობელზე ფიქრობდნენ და საუბრობდნენ, ვერ გაეგოთ, თუ რა დაემართა მის პატიოსან გვამს. ტრაპეზის ბოლოს, როდესაც "ქრისტეს წილი" აიღეს და ყოვლადწმინდა სამებას განადიდებდნენ, უცებ ანგელოსთა გალობა გაისმა და ცის სივრცეში ყოვლადწმინდა ქალწული იხილეს, მან ზეციური ძალებით გარშემორტყმულმა და გამოუთქმელი დიდებით გაბრწყინებულმა, მიმართა მოციქულებს: "გიხაროდენ, მე თქუენ თანა ვარ ყოველსა ჟამსა". გახარებულმა მოციქულებმა და იქ მყოფმა მორწმუნეებმა ერთად შესძახეს: "ყოვლადწმინდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ ჩვენ". ამგვარად წმინდა მოციქულები დარწმუნდნენ და მთელ ეკლესიას გადასცეს ურყევი რწმენა იმისა, რომ დედა ღვთისა თავისმა ძემ და ღმერთმა მესამე დღეს მკვდრეთით აღადგინა და ხორცით აღამაღლა ზეცაში.

ჯვხლოვლის ლმერთი, რომ მსხ ყოვლოთვის ხსლოვლი შენ

წმიდა ისააკ ასური

მოციქულებმა მწუხარეთა ნუგეშისსაცემად და იქ არმყოფთა დასარწმუნებლად საფლავში დარჩენილი მანტია აიღეს, იერუსალიმში დაბრუნდნენ და ძალიან მალე სახარების საქადაგებლად ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში კვლავ გამოჩნდნენ.

მიწისგან შექმნილი სხეულის კვლავ მიწად მიქცევა – ამგვარი სიკვდილი მის გვამს არ შეხებია. შობისას მან ქალწულება დაიმარხა, აღსასრულთან სიცოცხლე შეაერთა; შობის შემდეგ უხრწნელი დარჩა და სიკვდილში სიცოცხლე შეინარჩუნა. მან მიიძინა, რათა ნეტარი მარადიული სიცოცხლისათვის გამოეღვიძა. ის წარდგომილია ცხოველმყოფელი წყაროს წინაშე, რათა ჩვენი სულები ლოცვით იხსნას მარადიული სიკვდილისაგან. დაუძინებლად მლოცველი ღვთისმშობელი გვშუამდგომლობს და მწუხარებისას რწმენას გვაძლევს ნუგეშად.

ღვთისმშობლის ქვაში გამოკვეთილი საფლავი, ისევე როგორც საფლავი მისი ძისა, ყველა მორწმუნისათვის თაყვანისცემის საგნად დარჩა. უძველესი დროიდან ეკლესიის მიერ ღვთისმშობლის მიძინების მოსახსენებლად 15 აგვისტოა /ახ. სტილით 28/ დადგენილი. ის ათთორმეტ საუფლო დღესასწაულთა შორისაა, რადგან ამ დღეს მაცხოვარი ყოველთა მიეგება დედას თვისას და თავის სავანეში დაასახლა იგი.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და დაპირებისამებრ მეოხია ყველასი, ვინც მას მიმართავს, ბევრ მწუხარესა და ჭირვეულს მან გულმოწყალების მრავალი სასწაული უჩვენა. რომელი ჩვენგანი, ვინც ცხოვრების აღძრულ ზღვაში ვიტანჯებით, არ ვგრძნობთ, რომ ღვთისმშობელს ესმის ჩვენი გოდება, რა ჩქარა ისმენს იგი ჩვენსას, რა სწრაფად შეგვეწევა და გვანუგეშებს! ღვთისმშობლის შუამდგომელთა მოხმობა ქრისტიანული ღვთისმსახურების ნაწილად იქცა.

პირველი საუკუნიდანვე ეკლესია შეწევნას სთხოვს და ადიდებს მას, საღამოს მსახურება ყოველდღიურად მისდამი ლოცვით თავდება:

"უფროსად დიდებულო კურთხეულო ღვთისმშობელო, მარადის ქალწულო, შესწირე ლოცვაი ჩვენი ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისა, რათა შენ მიერ შეიწყალნეს სულნი ჩვენი".

ღვთისმშობლის აღსასრულს ეკლესია მიძინებას უწოდებს, რადგან მან სულ ცოტა ხნით მიიძინა და როგორც ძილისაგან – აღდგა. ღვთისმშობელმა ბუნების კანონებს სძლია.

გამოგვიგზავნეთ

ვლამიანი ნიკოლოზლის განმავლობაში მრავალი ფუნდაური, მოფლოლნილი თუ ვფხნილი მოვლენის მოწმე ხლებს. ფმიტლ შემოხვევაში ვრ ვიცით, ვის გვფბიანროთ ნანახი, ვლბეთ იმის შიშით, რომ შეიძლება ვრავნწოლრვლ გვგვიგონ.

თუ ყოფილხარრთ მომნწრე ვფხნილი, ფუნდაური, შეფუნობილი მოვლენის შეგიძლიათ მოგვნწოლთ ამ ფაქტის ამხანავილი ვილეო, ფოტო მანანლოვ თუ გაგვიმხილოთ ნაყფთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მინი გაცნობინან ლა შენწავლის შემლეგ, თუ იგი ნაინტერესო იქნება ფანრთ ვფლიფლრანიანთვის, მკითხველიანთვის, გამოკვეყნდება გაზეთში რუბრიკით ,,შეფუნობილი.,,

ნაკლინოებინ შემთხვევაში შეგვიძლია თქვენ მიერ შემოთავაზებული წერილი გალავეთ ფურნალ ,,ფერნომენს,, ლა შეხვბამინალ ვეფლრნი გვეცნოს ეკლესიის ფერნომენ.

ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ფუფილ-მანთალი. კითხვები ნომ იმანთვის ვრნებობს რომ ბანფუნის მოძიებინანს გვეგოთ მეტი. ყველა მინიშნებინ ფყან შეიძლება იმალებოდეს ბანფუნი ჩვენთვის ნაინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვიგზავნეთ.

გილოცავთ!

ჩვენს უცვლელ ნაწილ და ყოველ მოსავშვილებს გულითადად ვულოცავთ ცხოველი დაბადებიან დღეებს! ვუცურვებთ ჯანმრთელობას, ოლევ ბედნიერებასა და ცოცხალ ოჯახთან ერთად.

მეგობრები.

იყიდება

ქასპის რაიონის სოფელ პანტიანში 1500 კვ.მ. მინის ნაკვეთი დანყებული მშენებლობით სააგარაკო ადგილზე.

ფასი შეთანხმებით.

ტელ. 599 19 22 10 (გულიკო).

განცხადება

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას" ქასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს

შ.პ.ს. "ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას" ქასპის ცემენტის ქარხანა აცხადებს ვაკანსიებს შემდეგ თანამდებობებზე:

1. ექსკავატორის ოპერატორი (კავთისხევის კიჩქვის კარიერი);
2. ელექტრო შემკეთებელი.

გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი ხელზემე ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტში ა/წლის 7 სექტემბრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. ქასპი, ფარნავაზის ქ.№2.

E-mail:maia.Kaciashvili@heidelbergcement.ge

შეგიძლიათ, მიგვაწოდოთ თქვენი შვილების, შვილიშვილების ორიგინალური ფოტოები, ნახატები, აბრები. ისინი გამოქვეყნდება ჩვენს გაზეთში.

,,ახალი განთიადი,, იძლევა საინტერესო საკითხებზე რუბრიკის გაგრძელებით ფოტო-მასალის შეგროვებას. თხოვნით მივმართავთ თანხრილობელებს - დასტოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო და ცხოვრებისეთ ფოტოები!

გამოიწერეთ გამოიწერეთ გამოიწერეთ

,,ახალი განთიადი,,! გახდით ჩვენი მკითხველი!

ხსოვნა

ზოია პანჩენკო

ჩვენი ზოია – ზოია პანჩენკო... სიცოცხლეში სრულად ვერ ვხვდებოდით, ვინ იყავი... მაინც ჩვეულებრივი გვეგონე... ახლა, როდესაც ჩვენი გულების ნაწილი წაიღე, კიდევ უფრო კარგად მივხვდით შენს ადამიანურ ღირსებას, შენს კაიქალობას, შენი მეგობრობის ფასს.

შენ იყავი პიროვნება, რომელსაც ყველას ტკივილი აწუხებდა, ყველას დარდს ითავისებდა, მისი მადლი და სიკეთე ყველას სწვდებოდა... ჰოდა, ვეღარ გაუძლო შენმა დაღლილმა გულმა ამდენ განცდას... სანთელივით დაილია და დაიღვენთე...

შენს მიერ გაწეულ სიკეთეს ჩამოთვლა არ სჭირდება... ვერც შევძლებთ... მადლობასა და სამაგიერო პატივისცემაზე არასდროს გიფიქრია... ვერც შემოგბედავდით...

ერთი საოცარი რამ გვამშვიდებს ყველას: მშობლიურ ქალაქში საბოლოოდ ჩამოსვლა შესძელი, ყველა მოინახულე და ასე სიყვარულით გულსავსე გაემგზავრე...

სამახსოვრო იყო შენი ბოლო დასწრება ლოცვაზე, ძნელია ამ განცდის გადმოცემა... არასოდეს დაგვავიწყდება შენი გამომშვიდობება შენს სულიერ მოძღვართან... მან თბილად, ძალიან თბილად დაგლოცა... ახლა ვგრძნობთ, რომ ის ჩვენზე ბევრს ხედავდა...

ჩვენო დაიკო, შენი სახით ალალი, გულთბილი, ყველასათვის მოჭირნახულე ადამიანი დააკლდა ქალაქს...

ნათელში იყავი, ჩვენო საყვარელო...

მეგობრები.

ლაშა მიდელაშვილი

შვილო, ლაშა, უდიდესი ტკივილისა და დარდის ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენთან აღარ ხარ. უეცარმა სიკვდილმა წაგვართვა შენი თავი. ჩვენო საყვარელო შვილო, ლაშა, ჩვენო მარადიულო ტკივილო, ძნელია შენზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ რა ვქნათ, ახლა მხოლოდ მოგონებებით ვიქარვებთ ნაღველსა და ვარამს...

შვილო, ლაშა, 29 აგვისტო, შენი დაბადების დღეა, ცრემლითა და მწუხარებით აღვნიშნავთ, ორმოცი წლის გახდებოდი, სინანული გვტანჯავს, ტკივილი კიდევ უფრო გვიმძაფრდება იმის გამო, რომ ისე წახვედი ამ ქვეყნიდან ოჯახის შექმნა ვერ მოახერხე, ჯერ კიდევ ვერ ვიჯერებთ, რომ შენ ჩვენთან აღარ ხარ, გვგონია, სადღაც, შორს ხარ წასული და წუთიწუთზე შემოაღებ სახლის კარს...

შვილო, ლაშა, შენ ჩვენი ოჯახის მზრუნველი და უტყუარი მრჩეველი, ერთგული ბურჯი იყავი, ყველას გვენატრები, ძალიან გვაკლიხარ, იძინე მშვიდად, ჩვენო მონატრებულო შვილო, ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს.

ოჯახი.

ქასპის მუნიციპალიტეტის გამგეობა სამძიმარს უცხადებს ანა კედელაშვილს დედის მარიკა ფეიქრიშვილის გარდაცვალების გამო.

გაზეთი ,,ახალი განთიადი,, მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მარიკა ფეიქრიშვილი და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სონიკო ელისაბედაშვილი, რუსუდან ხეჩუაშვილი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მარიკა ფეიქრიშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნანა მერებაშვილი და გენადი ხაჩიძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მარიკა ფეიქრიშვილი და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

წინასწარჩვენი აგვლაცვრისა და წინასწარჩვენი რეკლამის განთავსებისთვის 2016 წლის 8 ივნისიდან - 2016 წლის 8 ოქტომბრამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ², მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760სმ². A3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ²-40 თეთრი).

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი სააკაძის ქ. № 68 ტელეფონი 22-25-76

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ქოლორში,,